ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N42

სხდომის ჩატარების დრო:
26 მარტი, 2024 წელი

სხდომის ჩატარების ადგილი:
რუსთაველის გამზირი N3
ადგილობრივი თვითმმართველობის
შენობაში არსებული სხდომათა დარბაზი

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი.**

ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

მაია სიმონიძე, თეიმურაზ ნადირაძე, ზაქრო მამასახლისი, მაგდა კოსტავა, ჯემალ ბიბილეიშვილი, მამუკა რიჟამაძე, კობა გურული,

სულ: 8 წევრი.

არ ესწრებოდნენ: ბესიკ ხამაშურიძე, დავით ბახტაძე, ლაშა შალამბერიძე, გრიგოლ შუშანია, ნინო ბიბილეიშვილი, გიორგი კილაძე.

სულ: 6 წევრი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი **მამუკა კუბლაშვილი,** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის სამსახურის, კულტურის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი **თამთა ბასილაძე.**

საკრებულოს თავმჯდომარის მრჩეველი **ნიკოლოზ ჩეჩელაშვილი,** ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიაში მოწვეული სპეციალისტი **იმედა საღინაძე.**

სხდომა გახსნა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** და წარმოადგინა სხდომის დღის წესრიგის შემდეგი პროექტი:

1.ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის 2024-2025 წლის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ;

2.ქალაქ ქუთაისში ლ.ასათიანის ქუჩის N96-სა (ნაკვეთები N1, N2, N2-1-1-1-1, N2-1-2, N2-2, N3, N4, N4-1, N4-2) და ქალაქ ქუთაისში, ლ.ასათიანის ქუჩის N96-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე, განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირებისა და დავალების გაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, იოსებ ხახალეიშვილისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

3.გოეთეს ინსტიტუტისგან გრანტის მიღების თაობაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, იოსებ ხახალეიშვილისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ბესიკ ხამაშურიძე, დავით ბახტაძე, ლაშა შალამბერიძე, გრიგოლ შუშანია, ნინო ბიბილეიშვილი, გიორგი კილაძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

დამტკიცდეს კომისიის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის პირველი საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის 2024-2025 წლის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“**

საკითხი წარმოადგინა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა:** „მოგახსენებთ, რომ USID-ის დახმარებით დაიწერა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სტრატეგია, ჩვენც ვიხელმძღვანელეთ ამ დოკუმენტით, შევიტანეთ ცვლილებები და მოვარგეთ ჩვენი კომისიის სპეციფიკას, შემდეგ გამზადებული დოკუმენტი დავუბრუნეთ კვლავ USID-ის წარმომადგენლებს და ამჯერად წარმოდგენილი გვაქვს მათ მიერ შენიშვნებით გადმოგზავნილი და უკვე ჩასწორებული ვერსია ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის 2024-2025 წლის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმისა, რაც თავის თავში გულისხმობს უფრო მეტად გამჭირვალე იყოს კომისიის სხდომები, გარე საზოგადოების მეტი ჩართულობა იყოს უზრუნველყოფილი, ეს იქნება არასამთავრობო ორგანიზაციები თუ ნებისმიერი დაინტერესებული პირი, შემოტანილია სხვადასხვა მექანიზმები, დაისახა ხუთი მიზანი საბოლოო შედეგზე გასასვლელად, მიზნები მოიცავს ამოცანებს, ამოცანები ჩაშლილია აქტივობებით, დოკუმენტი საკმაოდ მოცულობითია, გაწერილი იქნება კომისიის მიერ ჩასატარებელი ყველა შეხვედრა და ერთი სიტყვით, უფრო გამჭირვალე და ღია ვიქნებით

საზოგადოებისათვის, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შემოვდივარ წინადადებით, თქვენი თანხმობით დავამტკიცოთ წარმოდგენილი დოკუმენტი.“

საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ბესიკ ხამაშურიძე, დავით ბახტაძე, ლაშა შალამბერიძე, გრიგოლ შუშანია, ნინო ბიბილეიშვილი, გიორგი კილაძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს** :

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს საკითხი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის 2024-2025 წლის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეორე საკითხის- **„ქალაქ ქუთაისში ლ.ასათიანის ქუჩის N96-სა (ნაკვეთები N1, N2, N2-1-1-1-1, N2-1-2, N2-2, N3, N4, N4-1, N4-2) და ქალაქ ქუთაისში, ლ.ასათიანის ქუჩის N96-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე, განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირებისა და დავალების გაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, იოსებ ხახალეიშვილისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა, ბატონმა **მამუკა კუბლაშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ბატონმა **მ.კუბლაშვილმა** აქვე განმარტა: „3000 ჰექტარია საკვლევი ტერიტორია, რომელშიც შედის მერიის მიერ ეხლახანს პრივატიზებული ქონება, მერიის საკუთრებაში არსებული კიდევ რამდენიმე ტერიტორია და ასევე ბენზინგასამართი სადგური „აქსაი“, რომელიც არის კერძო მესაკუთრის, გდგ-ს კარგი ის აქვს, რომ მისი დამტკიცების შემთხვევაში ამ მიწის ნაკვეთებს მშენებლობის პირველი ეტაპის გავლა აღარ სჭირდებათ, ანუ ეგრეთწოდებული გაპი(მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების ნებართვა) აღარაა საჭირო, დაინტერესებული პირები შემოვლენ პირდაპირ მშენებლობის ნებართვით.“

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი:** „კანონში წერია, რომ შესაძლოა წერილით მოგვმართოს

დაიტერესებულმა პირმა, დოკუმენტაციის მომზადების ხარჯებს გაწევს თვითონ, შემდეგ ათანხმებს საკრებულოსთან ინიცირებას, გაიცემა დავალება და ესეც ჩვენი შესათანხმებელია ხო?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, ბატონი **მამუკა კუბლაშვილი:** „კი პირველი და მეორე ეტაპებიც თქვენთან გასავლელია."

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი:** „ახლა რომ არ გაეკეთებინათ გდგ, ხომ არსებობს კოეფიციენტები და შემოვიდოდა თითო ნაკვეთი თავის პროექტით?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, ბატონი **მამუკა კუბლაშვილი:** „ჩვენ გვაქვს გენ. გეგმის კონცეფცია, რომელიც თქვენ დაამტკიცეთ, აღნიშნულ კონცეფციას ეს ტერიტორია მონიშნული აქვს როგორც გდგ-ს არეალი ანუ გდგ-ს გაკეთება აქ სავალდებულოა, ვინაიდან ამ ტერიტორიაზე განაშენიანება ახლა უნდა მოხდეს, არ არსებობს არანაირი შენობა-ნაგებობა, ამიტომ ვალდებულებაა განაშენიანების საკითხებმა გაიაროს მერიის, საკრებულოს და ეკონომიკის სამინისტროს ხელში."

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი:** „მაღალი ინტენსივობის საცხოვრებელ ზონაში როგორია კოეფიციენტი?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, ბატონი **მამუკა კუბლაშვილი:** „მაღალი ინტენსივობის საცხოვრებელ ზონაში ყველაზე მაღალი კოეფიციენტი არის K2 (2,5) რაც K1-ის (0,5) ათვისების შემთხვევაში გვაძლევს 5 სართულს, თუ მენაშენეს K2-ის მატება უნდა, ამ შემთხვევაში აუცილებლად დასამუშავებელია გდგ კოეფიციენტის მატებაზე."

კომისიის წევრი, ქალბატონი **მაია სიმონიძე:** „მანდ რომ სახლია აშენებული, თუ არ ვცდები თბილისლები აშენებენ იმხელა სართულიანობით, ეს არ ქმნის პრობლემას?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, ბატონი **მამუკა კუბლაშვილი:** „არქიტექტურაში არსებობს ერთი ასეთი ტერმინი ქუჩისპირა განაშენიანება, რომელიც უფრო მეტი შეიძლება იყოს ვიდრე პერიფერიებში."

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი:** „თუ საკრებულო გადაწყვეტს, რომ გამწვანების ფართი(K3) იყოს იმაზე მეტი რაც დადგენილია, შესაძლებელია ამის შესახებ ცვლილების შეტანა?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, ბატონი **მამუკა კუბლაშვილი:** „შესაძლებელია რათქმაუნდა დადგენილი 0,3 მაჩვენებლის შეცვლის შესახებ მოთხოვნა იქნეს წარდგენილი."

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი:** „განსახილველ საკითხში წარმოდგენილია გეგმა, თუ როგორ განათავსებენ შენობებს, იქ ჩანს სტადიონიც, რომლის კეთილმოწყობასაც გვპირდებიან, გრაფიკულად წარმოდგენილ დოკუმენტაციაში თითოეული ჩვენგანისთვის სასიამოვნო პირობებია წარმოდგენილი, თუმცა ეს პირობითია ჯერჯერობით."

კომისიის წევრი, ქალბატონი **მაია სიმონიძე:** „როგორც ვიცი, სავალდებულოა გააკეთონ შიდა განათება, გზების მოწესრიგება, დენდროლოგია."

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი:** „კიდევ ერთს ვიკითხავ წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, ამ გდგ-ს ფარგლებში, როგორც ახსენეთ კერძო მესაკუთრეების ქონებებიც შედის, ასევე მერიის ბალანსზე მყოფი და ასევე აქ არის 10 000 კვადრატული მეტრის ფართობის გზის მონაკვეთი, როგორც ნახაზზეა დატანილი, ვფიქრობ, თუ ამ გეგმით წავა განაშენიანება მოხდება მონაცვლეობა ტერიტორიების."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, ბატონი **მამუკა კუბლაშვილი:** „გდგ ყოვლისმომცველი დოკუმენტია, მერიამ დაყო ეს მიწის ნაკვეთები და იმხელა ტერიტორიაა, შეიძლება ეს გზებიც არ იყოს საკმარისი, ალბათ რეკომენდაცია გვექნება მისაცემი მათთვის თითოეულმა შეიწიოს ცოტა და გზა თავის ნაკვეთის ხარჯზე დათმოს, ეს უკვე მეორე ეტაპის თემაა და დამოკიდებულია წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე და თქვენთან შემოვა კვლავ ეს საკითხი."

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ბესიკ ხამაშურიძე, დავით ბახტაძე, ლაშა შალამბერიძე, გრიგოლ შუშანია, ნინო ბიბილეიშვილი, გიორგი კილაძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისში ლ.ასათიანის ქუჩის N96-სა (ნაკვეთები N1, N2, N2-1-1-1-1, N2-1-2, N2-2, N3, N4, N4-1, N4-2) და ქალაქ

ქუთაისში, ლ.ასათიანის ქუჩის N96-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე, განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირებისა და დავალების გაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, იოსებ ხახალეიშვილისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“

მუხლი 2. დღის წესრიგის მეორე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მესამე საკითხის- **„გოეთეს ინსტიტუტისგან გრანტის მიღების თაობაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, იოსებ ხახალეიშვილისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის სამსახურის, კულტურის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, ქალბატონმა **თამთა ბასილაძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ქალბატონმა **თ.ბასილაძემ** აქვე განმარტა: „საკითხი შეეხება პროექტს, ქუთაისის სახალხო ხელოვნების ფესტივალი, რომელიც ეხლახანს გახდა გამარჯვებული და მიიღო დაფინანსება ევროკავშირის საგრანტო პროექტის ფარგლებში და გოეთეს ინსტიტუტის მეშვეობით, პროექტის მთლიანი ბიუჯეტი გახლავთ 30 000 ევრო და განხორციელების, მოსამზადებელი და საანგარიშო პერიოდი მოიცავს 2024 წლის 1 მარტიდან 15 დეკემბრამდე პერიოდს, უშუალოდ სახალხო ხელოვნების ფესტივალი განხორციელდება 2024 წლის ივლისის თვეში და მოიცავს მრავალფეროვან სახელოვნებო და კულტურულ ღონისძიებებს, ფესტივალის თემა იქნება საჯარო ხელოვნება-ლიტერატურაზე აქცენტი, საშემსრულებლო ხელოვნებას წარმოგვიდგენს, თანამედროვე ცეკვის და პოეზიის პერფორმანსები, აუდიოვიზუალური ხელოვნება, ამ სახელოვნებო-კულტურულ მიმართულებასთან ერთად საგანმანათლებლო ღონისძიებებზე იქნება აქცენტი, ჩატარდება ვორქშოფები შემოქმედებითი წერის მიმართულებით, კულტურული ინიციატივების განვითარების სამუშაო შეხვედრები და თანამედროვე ცეკვის პრაქტიკული მასტერკლასებიც გაიმართება“

საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ბესიკ ხამაშურიძე, დავით ბახტაძე, ლაშა შალამბერიძე, გრიგოლ შუშანია, ნინო ბიბილეიშვილი, გიორგი კილაძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „გოეთეს ინსტიტუტისგან გრანტის მიღების თაობაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, იოსებ ხახალეიშვილისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“

მუხლი 2. დღის წესრიგის მესამე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

ამით, ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და
საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე
ამირან კოპალეიშვილი